



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 140

2019 წლის 29 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების  
ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსზე  
წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N173/5 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/5 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის, სამსახურებრივი ბარათის (N1633208, 29.11.2019) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2019 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსზე წარმოდგენილი პროექტების დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია

**2019 წლის საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის საბოლოო ქულის გამოთვლისა და დაფინანსების წესი**

### **§ 1. პროექტის და ღონისძიების შეფასების შესახებ.**

1. კონკურსის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი პროექტები ფასდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს ბრძანება №173/ნ-ის დანართით განსაზღვრული საგრანტო პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. სამეცნიერო კვლევითი პროექტები და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზების პროექტები გადაეცემა კომისიას, რომელიც მათ შეაფასებს სათანადო ქულებით.

### **§ 2. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების ლოტების მიხედვით.**

1.  $n_1$ -ით აღინიშნება პირველ ლოტში (საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების განხორციელება) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 11- ზე მეტი ან ტოლი ქულით.  $n_2$ -ით აღინიშნება მეორე ლოტში (საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზება: კონფერენციები, კონგრესები) დარეგისტრირებული იმ პროექტების რაოდენობა, რომლებიც შეფასებულია 32- ზე მეტი ან ტოლი ქულით.
2. ავღნიშნოთ

$$N = 2n_1 + n_2.$$

3. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრება კოეფიციენტი შემდეგი ფორმულით:

$$k_1 = \frac{2n_1}{N}, \quad k_2 = \frac{n_2}{N}.$$

4. თითოეული ლოტისათვის განისაზღვრება ბიუჯეტი შემდეგი ფორმულით:

$$B_1 = k_1 \cdot M, \quad B_2 = k_2 \cdot M,$$

სადაც  $M$  არის კონკურსის ბიუჯეტი, ხოლო  $B_1$  და  $B_2$  არის შესაბამისად პირველი და მეორე ლოტების ბიუჯეტები.

### **§ 3. დაფინანსების წესი.**

1. თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე კეთდება ქულების მიხედვით პროექტების რანჟირებული სია.

2. პირველ ლოტში ფინანსდება მხოლოდ 11- ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული პროექტები შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა პროექტის დაფინანსების საშუალებას.
3. მეორე ლოტში ფინანსდება მხოლოდ 32- ზე მეტი ან ტოლი ქულით შეფასებული ღონისძიებები, შესაბამისი რანჟირებული სიის მიხედვით (ზემოდან ქვემოთ) სანამ ლოტისათვის განკუთვნილი ბიუჯეტი სრულად იძლევა ღონისძიების დაფინანსების საშუალებას.
4.  $r_1$ -ით აღინიშნება თანხის ოდენობა, რომელიც დარჩება პირველ ლოტში ნაშთის სახით.  $r_2$ -ით აღინიშნება თანხის ოდენობა რომელიც დარჩება მეორე ლოტში ნაშთის სახით.
5. აღენიშნოთ

$$R = r_1 + r_2 ,$$

სადაც  $R$  არის თითოეულ ლოტში ნაშთის სახით დარჩენილი თანხათა ჯამი.

6. დაფინანსების გარეშე დარჩენილი პროექტებისა და ღონისძიებებისაგან, დგება ერთიანი რანჟირებული სია, რომელშიც ისინი დალაგდებიან მიღებული ქულის ფარდობითი<sup>1</sup> გადახრის მიხედვით, ქვემოდან ზემოთ.
7.  $R$  თანხა ნაწილდება შედგენილი ერთიანი რანჟირებული სიის მიხედვით დაფინანსების გარეშე დარჩენილ 11 ქულაზე მეტი ან ტოლი ქულების მქონე პროექტებსა და 32 ქულაზე მეტი ან ტოლი ქულების მქონე ღონისძიებებს შორის.
8. ზემოაღნიშნული პროცედურების შემდეგ, ნაშთის სახით დარჩენილი თანხა, რომელიც არ იქნება საკმარისი ერთიანი რანჟირებული სიის რიგით შემდეგი 11 ქულაზე მეტი ან ტოლი ქულის მქონე პროექტისა ან 32 ქულაზე მეტი ან ტოლი ქულის მქონე ღონისძიების დასაფინანსებლად, დაბრუნდება ფონდის ბიუჯეტში.

---

<sup>1</sup> მიღებული ქულის ფარდობითი გადახრა წარმოადგენს ლოტის მაქსიმალურ ქულისა და მიღებულ ქულას შორის სხვაობის შეფარდებას ლოტის მაქსიმალურ ქულასთან